თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №1

თბილისი, 13 ივლისი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 13 ივლისის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:06 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ბატიაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი კახაბერ გულედანი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი თეა გვარამაძე;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი);
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომა გახსნა 15:06 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა;
2. დამსწრე კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციების მოსმენა;
3. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაცია ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით;
4. ორგანიზაციული საკითხების განხილვა (კომისიის სხდომების ჩატარების თარიღებისა და დროის განსაზღვრა);
5. სხვადასხვა.

ბატონმა რატი ბრეგაძემ კომისიის მანდატზე საუბრისას აღნიშნა, რომ კომისიის მიზანია საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმება და შემდგომ მათზე რეაგირება. მან კომისიის წევრებს შესთავაზა, კომისიის მუშაობაში ჩართვის მიზნით მომდევნო სხდომებზე მოეწვიათ სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები. შეთავაზებას კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა.

დღის წესრიგის გათვალისწინებით, ბატონმა რატი ბრეგაძემ სიტყვა გადასცა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ სანიკიძეს.

ბატონმა ზურაბმა ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებულ პრეზენტაციაზე ყურადღება გაამახვილა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" საქმიანობაზე საარჩევნო სიების ფორმირების კუთხით. როგორც მან აღნიშნა, სააგენტო ცესკო-ს აწვდის მონაცემებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებული პირების შესახებ, რომელთაც არჩევნების დღისთვის უსრულდებათ 18 წელი, ასევე, ინფორმაციას გარდაცვლილ პირთა შესახებ.

საარჩევნო სიის ფორმირების ზოგად წესზე საუბრისას მომხსენებელი შეეხო ამომრჩევლის საარჩევნო სიაში მოხვედრის საკითხს და აღნიშნა, რომ პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს მოქმედი პირადობის მოწმობა ან პასპორტი (დოკუმენტს არ უნდა ჰქონდეს ამოწურული მოქმედების ვადა ან არ უნდა იყოს გაუქმებული გაყალბების ან ბათილად ცნობის გამო); მოქალაქე უნდა იყოს 18 წლის (და ზევით) ან არჩევნების დღისთვის უსრულდება 18 წელი.

ამასთან, საარჩევნო სიაში მოსახვედრად, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-13 დღისა მოქალაქეებმა უნდა გაიარონ სააგენტოში რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და აიღონ აქტიური დოკუმენტები (პირადობის მოწმობა/პასპორტი). მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით სააგენტო აქტიურად მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს.

საარჩევნო სიების მიწოდების წესებთან დაკავშირებით ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტო წელიწადში ოთხჯერ – ყოველი წლის 1-ლ თებერვალს, 1-ლ მაისს, 15 ივლისს და 1-ლ ნოემბერს – ცესკო-ს გადასცემს საარჩევნო უფლების მქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს.

ამასთან, 31-ე მუხლის 6[1] პუნქტის თანახმად, ცესკო უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ გამოითხოვოს და 3 დღის ვადაში მიიღოს განახლებული მონაცემები საარჩევნო სიასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის თქმით, მიმდინარე წლის 1-ლ მაისს ცესკო-ს გადაეცა მონაცემები საარჩევნო ხმის უფლების მქონე 3 540 513 პირისა და 843 634 გარდაცვლილი პირის შესახებ.

2013 წლიდან დღემდე სააგენტოში არსებული საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტთან დაკავშირებით ბატონმა ზურაბმა ისაუბრა მოქალაქეთა მონაცემებში არსებულ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე (პრობლემების მოგვარება, რომელთა გამოც საქართველოს მოქალაქეების განსაზღვრულ კატეგორიას ეზღუდება ხმის მიცემის უფლების რეალიზება; გარდაცვლილ პირთა პროაქტიულად ამოღება საარჩევნო სიიდან; სააგენტოს მონაცემთა ბაზების

ხარისხის ამაღლება; პოტენციურ ამომრჩეველთა სიის სრულყოფა და სანდოობის გაზრდა ამომრჩეველთა სიისადმი). აღნიშნული პროექტის ძირითადი პრინციპია „ერთი მოქალაქე – ერთი ხმა“.

ბატონმა ზურაბმა ყურადღება გაამახვილა სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც საარჩევნო მიზნით წინასწარ სტუმრობენ საქართველოს და ქვეყანას აფასებენ არა მხოლოდ საარჩევნო სიის ფორმირების კუთხით. როგორც სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნა, წინა წლებში ეუთო/ოდირი-ს (OSCE/ODIHR) საპარლამენტო ანგარიშის და ევროსაბჭოს ანგარიშის თანახმად, დადებითად შეფასდა და არანაირი ხარვეზი არ იყო დადგენილი საარჩევნო სიების ფორმირებასთან დაკავშირებით.

პროექტ „საარჩევნო სიების სრულყოფის“ ფარგლებში მრავალმხრივ მუშაობაზე საუბრისას მომხსენებელმა ხაზი გაუსვა „Cognitec“-ის გერმანული ფოტოსაძიებო სისტემის შეძენის მნიშვნელობას (2014 წ.), რომლის დახმარებითაც 2014-2016 წლებში შედარებულ იქნა სრულწლოვანი მოქალაქეების 10 მილიონზე მეტი ფოტოსურათი. გამოვლინდა და გაუქმდა 7,706 გაორებული ან/და გაყალბებული დოკუმენტი; კარდაკარ სამუშაოების და მოქალაქის რეგისტრაციის მისამართზე ბიომეტრიული მონაცემების აღების გზით გასწორდა 3,522 მონაცემი, რომლებზეც არ იყო მიბმული ან/და სურათის უხარისხობის გამო შეუძლებელი იყო პირის იდენტიფიკაცია. პროაქტიულად მიმდინარე კარდაკარ სამუშაოების შედეგად 2013 წლიდან დღემდე გამოვლინდა და მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა 10,500-ზე მეტი გარდაცვალების ფაქტი; შესწავლილ იქნა 40,000 პოტენციურად ხარვეზიანი საქმე; გაანალიზდა და შესწორდა 1,492 პირის მონაცემი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სამოქალაქო აქტებს შორის არსებული შეუსაბამობების გამო.

ერთი და იმავე მისამართზე სხვადასხვა ფორმულირების ჩაწერის გამოსავლენად კარდაკარ სამუშაოების ჩატარებით (შემოწმდა 11,969 მისამართი) აღმოჩენილ იქნა 1,443 გაორებული მისამართი და მონაცემების გასწორების მიზნით გადაიგზავნა შესაბამის სამისამართო სამსახურში.

საზღვარგარეთის მისამართზე რეგისტრირებული 17,427 მოქალაქის მონაცემის დამუშავების შედეგად მონაცემთა ბაზაში შესწორდა 8,042 მოქალაქის მისამართი ადგილსამყოფელი ქვეყნისა და ქალაქის დონეზე.

ამასთან, როგორც ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია 2015 და 2020 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მისამართზე ორი მოწმის დასტურით რეგისტრაციის წესისა და პროცედურების გაჯანსაღებისა და მისამართზე რეგისტრაციის ინსტიტუტის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

მნიშვნელოვანია, ასევე, იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის მფლობელ და რეგისტრაციიდან მოხსნილ პირთა პროაქტიულად ინფორმირების მიზნით სპეციალური სისტემის ამოქმედება, რომლის დახმარებითაც დღემდე მობილურ ტელეფონებზე გაგზავნილია 233,000-მდე შეტყობინება/შეხსენება დოკუმენტის გაუქმების/შეჩერების მიზეზებსა და პირადობის დოკუმენტებთან დაკავშირებით მიმდინარე უფასო აქციების შესახებ.

რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების ინფორმირების მიზნით შექმნილი სპეციალური ქოლცენტრის ოპერატორებმა პროაქტიულად განახორციელეს 300,000-ზე მეტი სატელეფონო

ზარი იმ მოქალაქეებთან, ვინც საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად ვერ ხვდებოდა საარჩევნო სიაში. ხარვეზის აღმოფხვრის კუთხით გაწეულ იქნა კონსულტაციები.

ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ 2012 წლის 1-ლი დეკემბრიდან დღემდე განხორციელებული პიარკამპანიის შედეგად სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გაიცა 3, 095 064 პირადობის ელექტრონული მოწმობა, ამასთან, 1,760 386 პირადობის ელექტრონული მოწმობა – უფასოდ ან/და შეღავათით; 1, 512 313 ბიომეტრიული პასპორტი, ხოლო 164 455 – უფასოდ ან/და შეღავათიან ფასებში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოდასახელებულ მონაცემებში შედის მიმდინარე წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის ინიციატივით დიასპორის დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული სპეციალური აქციის ფარგლებში საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის პირადობის ელექტრონული მოწმობის უფასოდ და ნახევარ ფასად მიღებული ბიომეტრიული პასპორტის რაოდენობა.

პრეზენტაციის ბოლოს, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ ID ბარათებზე საუბრისას, ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ, 2021 წლის 29 ივნისის მონაცემებით, ბაზაში არსებული 3, 230 072 ID ბარათი (2012 წლის 1-ლი დეკემბრის მონაცემებთან შედარებით – 568, 646) მიუთითებს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" სწორი მიმართულებით სვლასა და წარმატებაზე.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ზურაბ სანიკიძეს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და დღის წესრიგით გათვალისწინებული ორგანიზაციული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით მიმართა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ თორნიკე ჭეიშვილს, წარმოედგინა ინფორმაცია კომისიისთვის.

ბატონი თორნიკეს განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია იკრიბება კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ – კვირაში ერთხელ მაინც. მანვე აღნიშნა, რომ კომისიის შემდეგი სხდომა შეიძლება გაიმართოს პირველი სხდომის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს ორი კვირის თავზე.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე უწყებების წარმომადგენლებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში მონაწილეობისთვის.

სხდომა დასრულდა 15:27 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: